# განმარტებითი ბარათი

### "ლიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

აღნიშნული კანონის პროექტის შემუშავებულია „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტზე დაყრდნობით, მოსალოდნელი შემოსავლების შეფასების გათვალისწინებით, სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სათამაშო ბიზნესის სფეროში ფისკალური ეფექტის ამაღლებას, სახელმწიფოს შემოსავლების გაზრდას და აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორთა კონკურენციის პირობების გაუმჯობესებას.

სათამაშო ბიზნესის სფეროში სანებართვო მოსაკრებლის სახით შემოსული თანხები მცირეა სანებართვო მოსაკრებლის დაბალი განაკვეთის გამო და ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდის მიზნით საჭიროა სანებართვო განაკვეთების გაორმაგება.

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით საბიუჯეტო ხარჯებს.

კანონპროექტის ავტორი და წარმომდგენია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.